სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება #48

ქ. თბილისი 26 თებერვალი 2015 წ.

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ - **სსიპ ,,საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი''** (ს.კ 202 059 495.მის: ქ. თბილისი, კარგარეთელის ქ.#6),წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნი **გიორგი კალანდია**-ს სახით, შემდგომში „შემსყიდველი"

მეორეს მხრივ, **შპს „ოლპრინტჯი"** (ს/კ 400044518, მის: ქ.თბილისი, მუხიანის IVბ მ/რ-ნი, კორპ. #31, ბ.#41) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნი **დავით სამუშია**-ს სახით, შემდეგში „მიმწოდებელი",

საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-3-ე მუხლის ს1 პუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მახასიათებლება

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს (CPV 79811000) შემდეგი საქონელი:

- **ბანერი - 1 ცალი - 12 კვ.მ.**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შეადგენს 120 ლარს, (ას ოცი ლარი და 00 თეთრი).

2.2 შესყიდვა განხორციელდეს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნების ფარგლებში.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარულ დღეში.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, კარგარეთელის #6.

5.მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დაინტერესებული მხარე ვალდებულია გააფრთხილოს დამრღვევი და დაუნიშნოს ვადა დარღვევის გამოსასწორებლად. თუ ასეთ გაფრთხილებას არავითარი შედეგი არ მოყვება, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სანქციებს.

5.2 მხარეების თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციებით.

5.3 თუ ამ ხელშეკრულების 5.1. პუნქტში აღნიშნული სიტუაცია გაგრძელდება 1 (ერთი) თვეზე მეტ ხანს, ორივე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს" ეკისრება სანქცია ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 20%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება „შემსყიდველის" მიერ დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღეზე „მიმწოდებელს" ეკისრება სანქცია მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.06%-ის ოდენობით.

6.სახელშეკრულებო ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

7.ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ ან/და სრულ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებათა ზემოქმედების შედეგებით. ასეთი გარემოების დასტურს წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

7.2 მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს 3 (სამი) დღის განმავლობაში მათი წარმოქმნის დღიდან, წინააღმდეგ შემთხვევში, მეორე მხარეს უფლება აღარ ექნება მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისაგან განმათავისუფლებელ გარემოებაზე.

7.3 დაუძლეველი ძალის გარემოებათა დადგომის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოება.

8.დავის გადაწყვეტა

8.1 ყველა დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან წყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობისას დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

8.2 ყველა იმ შემთხვევაში, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.დასკვნითი დებულებები

9.1 ყველა ცვლილება, დამატება, წინამდებარე ხელშეკრულებაში ხორციელდება წერილობით, ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. მხარეებისათვის თითო ეგზემპლიარი.

შემსიდველი:

სსიპ ,,საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი''

საიდენტიფიკაციო კოდი: 202 059 495

სახელმწიფო ხაზინა: 220100222

მის: ქ.თბილისი, კარგარეთელის #6.

ტელ: +995 32 295 35 63

მუზეუმის დირექტორი:

---------- /გ.კალანდია/

მიმწოდებელი:

შპს „ოლპრინტჯი“

საინდიფიკაციო კოდი: 400044518

მისამართი: ქ.თბილისი, მუხიანის IVბ მ/რ-ნი, კორპ. #31, ბ.#41

ბანკის დასახელება: ს.ს „საქართველოს ბანკი“

BAGAGE22

ბანკის კოდი: GE96BG0000000458585400

ტელ: 577 65 11 60

დირექტორი:

---------- /დ.სამუშია/

ცნობა

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

26 თებერვალი 2015

,,სახელმწიფო შეყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის თანხამად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-3-ე მუხლის ს1 პუნქტის მიერ 2015 წლის 26 თებერვლის №48 ხელშეკრულების საფუძველზე, გამარტივებულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

თანამდებობა	სახელი გვარი	ხელმოწერა
მუზეუმის დირექტორი	გიორგი კალანდია	
შპს ოლპრინტჯი-ს დირექტორი	დავით სამუშია	

ქ. თბილისი 06.03.2015 წელი

მიღება – ჩაბარების
ა ქ ტ ი

ერთის მხრივ, „შემსყიდველი“
სსიპ „საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი“ (ს.კ 202 059 495. მის: ქ. თბილისი, კარგარეთელის ქ.#6)

წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი კალანდიას**-ს სახით
(თანამდებობა, სახელი და გვარი)

მეორეს მხრივ, „მიმწოდებელი“
შპს „ოლპრინტჯი“ (ს/კ 400044518, მის: ქ.თბილისი, მუხიანის IVბ მ/რ-ნი, კორპ. #31, ბ.#41)

წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით სამუშია**-ს სახით
(თანამდებობა, სახელი და გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა 2015 წლის 28 თებერვლის №48 ხელშეკრულების შესაბამისად შემსყიდველს მიაწოდა შემდეგი საქონელი:

- ბანერი - 12 კვ.მ.

საქონლის საერთო ღირებულება არის 120 ლარი (ას ოცი ლარი და 00 თეთრი).

თანხა გადახდილი იქნება წინამდებარე აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

სასაქონლო ზედნადები № 0162118317

მიმწოდებელმა აღნიშნული თანხის ფასად მიაწოდა შემსყიდველს შეძენილი საქონელი (CPV 79811000)

რაც დასტურდება ხელმოწერით

შემსყიდველი:
მუზეუმის დირექტორი
----------/გ.კალანდია/

მიმწოდებელი:
დირექტორი:
----------/დ.სამუშია/